საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის შენობა. 1937.

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, ჯანმრთელობისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი – თანამედროვე სამედიცინო-სარეაბილიტაციო დაწესებულება.

თბილ. ბალნეოლ.-კლიმ. კურორტი. დაარსდა 1937. მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ქალაქის ერთ-ერთ უძველეს უბან ხარფუხში. თ. ბ. კ-ის შენობა სამსართულიანია (არქიტექტორები: ი. ჟიტკოვსკი, მ. კალაშნიკოვი, ბ. კარბინი), ვესტიბიულის ორივე მხარეს შიდა ეზოებია, რ-თა ირგვლივ განლაგებულია სააბაზანოები, სამკურნ. და დამხმარე სათავსოები. კომპლექსის ბირთვს წარმოადგენს შიდა ეზო, რ-საც მთელ პერიმეტრზე კოლონადა გასდევს. თ. ბ. კ. კლიმატურად ხელსაყრელ ზონაში მდებარეობს, იგი გამოირჩევა როგორც კლიმ. თავისებურებებით, ასევე მრავალდარგოვანი ფიზიოლ. სამკურნ. საშუალებებით (ბალნეოთერაპია, ფიზიოთერაპია, ტალახით მკურნალობა, სამკურნ. ფიზკულტურა). თ. ბ. კ-ის სამკურნ. ფაქტორებიდან აღსანიშნავია უნიკალური მინერ. წყალი, რ-იც თავის ფიზ.-ქიმ. თვისებებით ეკუთვნის სულფიდურ-თერმული და ჰიპერთერმული წყლების ჯგუფს (30–470°C). კურორტის სამკურნ. კომპლექსში გამოყენებულია აგრეთვე კუმისის ტბის ლამის და ახტალის ფსევდოვულკანური წარმოშობის უნიკალური ტალახი. ცენტრის სტრუქტურაში გაერთიანებულია განყოფილებები: საკონსულტაციო, დიაგნოსტიკურ-ლაბორატორიული (კლინიკური, იმუნოფერმენტული, ბაქტერიოლოგიური; ელექტროკარდიოგრაფიის, დოპლეროგრაფიის, ექოსკოპიის, რენტგენოგრაფიის, ბალნეოლ. (მინ. წყლის აბაზანა, სუბაკვალური და

რექტალური გამორეცხვები, წყლით სამკურნ. „ჰიდროპათია“, საინჰალაციო, შესხურებით მკურნალობა), სადიაგნოსტიკო და ფიზიოთერაპიული კაბინეტები. ცენტრში, პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის გარდა, მიმდინარეობს სამეცნ. მუშაობა, რ-ის ძირითადი მიმართულებებია:

1. საქართველოს საკურორტო რესურსების – მინერ. წყლების, სამკურნ. ტალახის, კლიმ. პირობების და სხვა ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების გამოვლენა და შესწავლა, ადამიანის ორგანიზმზე მათი ფიზიოლ. და თერაპიული მოქმედების დადგენა;

2. ფიზიოთერაპიული ფაქტორების ექსპერ. და კლინ. შესწავლა;

3. ბუნებრივი და პრეფორმირებული ფიზ. ფაქტორების (სამკურნალო, პროფილაქტიკის და რეაბილიტაციის მიზნით) გამოყენების პრინციპების და მეთოდების დამუშავება და მათი საკურორტო პრაქტიკაში დანერგვა;

4. კურორტებზე ავადმყოფთა მკურნალობის ჩვენებების დადგენა. ცენტრში გახსნილია მასაჟის სკოლა, ასევე ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს თსსუ-ის კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამედ. ტურიზმის დეპარტამენტი. 1999-იდან ცენტრის გენ. დირექტორია ნ. სააკაშვილი.